

ქვიზი 1

გვარი, სახელი -----

ჯგუფი ----- კურსი -----

ამოცანა 1

თამარი პროგრამისტად მუშაობს და საათში მას 10 ლარს უხდიან. მისი დედა პენსიონერია. ცენტრალურ სუპერმარკეტში, რომელიც ქალაქის ცენტრიდან შორს მდებარეობს, 1 კგ. ხორცი 8 ლარი ღირს, ხოლო თამარის სამსახურთან ახლოს მდებარე სუპერმარკეტში – 12 ლარი. ყიდვის რა მოცულობის დროს არის რაციონალური თამარისთვის ხორცის შექენა ახლოს მდებარე სუპერმარკეტში? თამარის დედისთვის?

ამოცანა 2

- ცხრილში წარმოდგენილია ნაყინზე მოთხოვნის რაოდენობა სხვადასხვა ფასის პირობებში.
- ა. დაუშვათ, რომ ერთი ნაყინის ფასი 1,2 ლარია. როგორ შეიცვლება მოთხოვნის რაოდენობა, თუ ეს ფასი შემცირდება 30 თეთრით?
 - ბ. განსაზღვრეთ ნაყინის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები ფასის თითოეული მნიშვნელობისთვის (მიღებული შედეგები შეიტანეთ ცხრილში);
 - გ. ფასების ყველა ინტერვალისთვის გამოთვალეთ მოთხოვნის საფასო ელასტიურობის კოეფიციენტები. მიღებული შედეგები შეიტანეთ ცხრილში;
 - დ. ფასის რომელი მნიშვნელობისთვისაა ერთობლივი ამონაგები მაქსიმალური?
 - ე. ფასის რომელი მნიშვნელობისთვისაა მოთხოვნის საფასო ელასტიურობის კოეფიციენტი ერთის ტოლი?
 - ვ. ფასის რომელი მნიშვნელობებისთვისაა მოთხოვნა ელასტიური? არაელასტიური?

ერთი ულუფის ფასი, (ლარი)	მოთხოვნის რაოდენობა, (ათასი ულუფა)	ხარჯები (ამონაგები), ათასი ლარი	მოთხოვნის საფასო ელასტიურობის კოეფიციენტი
2,10	10		
1,80	20		
1,50	30		
1,20	40		
0,90	50		
0,60	60		
0,30	70		

ამოცანა 3

დაუშვათ, რადიო კონკურსში გაიმარჯვეთ და მოიგეთ ჩაის ნაკრები, რომელიც 40 ლარი ღირს. საჩუქრის ნახვის შემდეგ მისმა მონაცემებმა არ დაგაკმაყოფილათ და გადაწყვიტეთ მისი გაყიდვა. იცით, რომ გაყიდვის შემთხვევაში მხოლოდ 15 ლარს მიიღებთ. რას უდრის ჩაის ნაკრების დატოვების ალტერნატიული ღირებულება?


ტესტები (პასუხი ახსენით)

1. თუ X პროდუქტის შემცველზე ფასი შემცირდება, მაშინ

- ა. X პროდუქტზე მოთხოვნა შემცირდება;
- ბ. X პროდუქტის საბაზრო ფასი დაეცემა;
- გ. X პროდუქტზე მოთხოვნა გაიზრდება;
- დ. X პროდუქტზე მოთხოვნა უცვლელი დარჩება.

2. რით შეიძლება აიხსნას X პროდუქტზე მოთხოვნის მრუდის გადაადგილება?

- ა. X პროდუქტის მიწოდება რაღაც მიზეზის გამო შემცირდა;
- ბ. X პროდუქტის ფასი გაიზარდა და ამის გამო მომხმარებელი ნაკლებ რაოდენობას ყიდულობს;
- გ. მომხმარებელთა გემოვნება შეიცვალა და ახლა მათ ნებისმიერ ფასად X პროდუქტის უფრო მეტი რაოდენობის შექენა სურთ, ვიდრე ადრე სურდათ;
- დ. X პროდუქტის ფასი დაეცა და ამიტომ მომხმარებელი უფრო მეტს ყიდულობს, ვიდრე ადრე ყიდულობდა.



3. მოცემულ გრაფიკზე წერტილიდან წერტილში გადაადგილების მიზეზი შეიძლება იყოს

- ა. მოთხოვნის შემცირება;
- ბ. მოთხოვნის რაოდენობის გაზრდა;
- გ. მიწოდების შემცირება;
- დ. მიწოდების რაოდენობის გაზრდა.

4. თუ ფირმამ, დაადგინა, რომ მის მიერ წარმოებულ პროდუქტზე მოთხოვნა ელასტიურია, მაშინ ერთობლივი ამონაგების მაქსიმიზაციის მიზნით ფირმამ უნდა

- ა. შეამციროს ფასი; ბ. გაზარდოს ფასი; გ. შეამციროს გამოშვების მოცულობა; დ. გაზარდოს გამოშვების მოცულობა.

5 გვალვის შედეგად ხორბლის მიწოდება შემცირდა. დავეუფავთ, ასეთ პირობებში, კარტოფილი პურის შემცვლელია. მოსალოდნელია, რომ პურის ფასი

- ა. გაიზრდება, პურის მიწოდება გაიზრდება, კარტოფილზე მოთხოვნა გაიზრდება;
- ბ. გაიზრდება, პურის მიწოდება შემცირდება, კარტოფილზე მოთხოვნა გაიზრდება;
- გ. გაიზრდება, პურის მიწოდება შემცირდება, კარტოფილზე მოთხოვნა შემცირდება;
- დ. შემცირდება, პურის მიწოდება შემცირდება, კარტოფილზე მოთხოვნა გაიზრდება.

6. თუ პროდუქტის ფასი 1,5 ლარიდან გაიზარდა 2 ლარამდე, ხოლო მოთხოვნის მოცულობა 1000-დან შემცირდა 900 ერთეულამდე, მაშინ ელასტიურობის საფასო კოეფიციენტის მნიშვნელობა იქნება

- ა. 3,00; ბ. 2,71; გ. 0,30; დ. 0,33.

7. როცა პროდუქტის ფასი 5 ლარია, მაშინ მოთხოვნის სიდიდე არის 25 ერთეული. თუ ფასი 1 ლარით მოიმატებს, მაშინ

- ა. მოთხოვნის მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ; ბ. მიწოდების მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ;
გ. მოთხოვნის მრუდი არ გადაადგილდება; დ. მიწოდების მრუდი გადაადგილდება მარცხნივ.

8. თუ არაელასტიური მოთხოვნის პროდუქტის ფასი გაიზარდა 7-დან 8 ლარამდე, მაშინ ამონაგები

- ა. შემცირდება; ბ. გაიზრდება; გ. არ შეცვლება; დ. სრულიად არაელასტიკური იქნება.

9. დაუშვათ, მეცნიერებმა დაადასტურეს, რომ შოკოლადი ხელს უწყობს ენერჯის მომატებას. უნდა ველოდოთ, რომ

- ა. შოკოლადზე მოთხოვნა უცვლელი დარჩება; ბ. შოკოლადზე მოთხოვნა შემცირდება;
გ. შოკოლადზე მოთხოვნა გაიზრდება; დ. შოკოლადის მიწოდება შემცირდება.

10. კაფეს მეპატრონეს, რომელსაც ჰყავს ძლიერი კონკურენტები, ეშინია ფასების 2%-ით გაზრდის. ის ფიქრობს, რომ ამ ღროს დაკარგავს თავისი მუდმივი სტუმრების ნახევარს. თუ ეს ნამდვილად ასეა, მაშინ მოთხოვნა ამ შემთხვევაში არის

- ა. ელასტიური; ბ. ერთეულოვანი ელასტიურობის; გ. არაელასტიური; დ. სრულიად არაელასტიური.

11. მოთხოვნის საფასო ელასტიურობის სიდიდე გაიზრდება იმ პერიოდის ხანგრძლივობასთან ერთად, რომლის დროსაც წარმოდგენილია მოთხოვნა, ვინაიდან

- ა. მომხმარებელთა შემოსავლები გაიზრდება;
- ბ. მოთხოვნა გაიზრდება და მოთხოვნის მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ;
- გ. გაიზრდება ფასების საერთო დონე;
- დ. მომხმარებლებს აქვთ შესაძლებლობა შეიძინონ შემცველი პროდუქტები.

12. თუ მოთხოვნა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე არაელასტიურია, მაშინ კარგი მოსავლის პირობებში ფერმერთა შემოსავლები:

- ა. გაიზრდება, ვინაიდან გაიზრდება გასაყიდი პროდუქტის მოცულობა;
- ბ. შემცირდება, ვინაიდან ფასების შეფარდებითი შემცირება აღმოჩნდება მეტი, ვიდრე გაყიდვათა მოცულობის შეფარდებითი ზრდა;
- გ. გაიზრდება, ვინაიდან მოთხოვნის გადიდების გამო ფასები იზრდება პროდუქტებზე;
- დ. დარჩება უცვლელი, ვინაიდან გაყიდვის მოცულობის შეფარდებითი ზრდა, ფასების შეფარდებითი შემცირების ტოლია.